დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №83 ბრძანებით

ცვლილება შეტანილია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 11 ივლისის №167, 2020 წლის 16 ოქტომბრის №289, 2020 წლის 11 ნოემბრის №323 , 2021 წლის 1 მარტის №1380, 2021 წლის 15 ივნისის №4225 , 2022 წლის 15 თებერვლის №3081, 2022 წლის 29 ნოემბრის №139453, 2023 წლის 1 მაისის №13995 ბრძანებებით

შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი

2020

დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები 3

მუხლი 3. შეფასების შედეგებზე რეაგირება 7

დანართი №1 - აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიში ... 9

დანართი №2 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური ანგარიში 15

დანართი №3 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება დეკანის მიერ 20

დანართი №4 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ 21

დანართი №5 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ 22

დანართი №6 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება საგამოცდო ცენტრის მიერ 23

დანართი №7 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის და სასწავლო კურსის შეფასება სტუდენტის მიერ 24

დანართი №8 - მოწვეული პერსონალის სემესტრული და წლიური შეფასების სქემა 26

დანართი №9 - აკადემიური პერსონალის სემესტრული და წლიური შეფასების სქემა 27

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების, სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის, ასევე, მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურებსა და კრიტერიუმებს.

2. პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და პროფესიული განვითარების შეფასება ხელს უწყობს სამეცნიერო-სასწავლო საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდას, პერსონალის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებას, შემოქმედებითი ინიციატივის გაღვივებას, რაც მიმართულია უნივერსიტეტის განვითარებასა და ხარისხის ამაღლებაზე.

მუხლი 2. შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები

1. პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, სხვა სტრუქტურული ერთეულების მხარდაჭერით, წინამდებარე წესში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

1.1. აკადემიური პერსონალის შეფასება მოიცავს:

ა) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიურ შეფასებას შესაბამისი ანგარიშის გამოყენებით (დანართი №1 - აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიში);

ბ) პროფესიული განვითარების წლიურ შეფასებას შეფასების შესაბამისი ანგარიშის გამოყენებით (დანართი №2 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური ანგარიში);

გ) აკადემიური საქმიანობის სემესტრულ შეფასებას სხვადასხვა მხარის მიერ შესაბამისი კითხვარების გამოყენებით (დანართი №3 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება დეკანის მიერ, დანართი №4 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, დანართი №5 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ, დანართი №6 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება საგამოცდო ცენტრის მიერ, დანართი №7 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება სტუდენტის მიერ).

1.2. მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს:

ა) პროფესიული განვითარების წლიურ შეფასებას შეფასების შესაბამისი ანგარიშის გამოყენებით (დანართი №2 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური ანგარიში);

ბ) აკადემიური საქმიანობის სემესტრულ შეფასებას სხვადასხვა მხარის მიერ შესაბამისი კითხვარების გამოყენებით (დანართი №3 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება დეკანის მიერ, დანართი №4 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, დანართი №5 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ, დანართი №6 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება საგამოცდო ცენტრის მიერ, დანართი №7 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება სტუდენტის მიერ).

2. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა გულისხმობს წინამდებარე დოკუმენტის დანართი №1-ით (აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიში) განსაზღვრულ აქტივობებს. თითოეული აქტივობისთვის განკუთვნილი ქულების მოცულობა დადგენილია ამავე დანართით.

3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიში აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო წლის ბოლოს წარედგინება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს. სავალდებულოა აკადემიური პერსონალის მიერ წლიურ ანგარიშში მითითებული საქმიანობის დადასტურება.

4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიზნით განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალის მიმართ დადგენილი მოთხოვნებია: აფილირებული პროფესორი ვალდებულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით ყოველწლიურად დააგროვოს მინიმუმ 50 ქულა, პროფესორი - მინიმუმ 30 ქულა, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - მინიმუმ 40 ქულა, ასოცირებული პროფესორი - მინიმუმ 25 ქულა, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი - მინიმუმ 30 ქულა, ასისტენ-პროფესორი - მინიმუმ 20 ქულა, აფილირებული ასისტენტი - მინიმუმ 20 ქულა, ასისტენტი - მინიმუმ 10 ქულა.

5. აკადემიური პერსონალი ვალდებულია განახორციელოს ამ წესით განსაზღვრული სამეცნიერო აქტივობები და ყოველწლიურად დააგროვოს მისთვის განსაზღვრული მინიმალური ქულათა რაოდენობა. აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო წლის ბოლოს წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშს აფასებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი და ადასტურებს აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებულ სამეცნიერო აქტივობებს. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი შეფასების შედეგებს აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დადასტურებული შედეგების წლიური შეფასების პროცესში

გამოყენებისა და საბოლოო შეფასების შედეგებში გათვალისწინების მიზნით.

6. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება გულისხმობს წინამდებარე დოკუმენტის დანართი №2-ით (აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური ანგარიში) განსაზღვრულ აქტივობებს. თითოეული აქტივობისთვის განკუთვნილი ქულების მოცულობა დადგენილია ამავე დანართით.

7. პროფესიული განვითარების საქმიანობის წლიური ანგარიში აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო წლის ბოლოს წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. სავალდებულოა პერსონალის მიერ პროფესიული განვითარების ანგარიშში მითითებული საქმიანობის დადასტურება.

8. პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიმართ დადგენილი მოთხოვნაა მინიმუმ 30 ქულის დაგროვება.

9. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო წლის ბოლოს წარმოდგენილი პროფესიული განვითარების ანგარიშის განხილვა ხორციელდება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წარდგინების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ, რომელიც ადასტურებს პერსონალის მიერ შესრულებულ პროფესიული განვითარების აქტივობებს. კომისია განხილვის შედეგებს აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დადასტურებული შედეგების წლიური შეფასების პროცესში გამოყენებისა და საბოლოო შეფასების შედეგებში გათვალისწინების მიზნით.

10. აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის სემესტრული შეფასება ხდება წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით სხვადასხვა მხარის მიერ, კერძოდ:

ა) შეფასება დეკანის მიერ (დანართი №3 - აკადემიური და მოწვეული პეროსონალის შეფასება დეკანის მიერ);

ბ) შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ (დანართი №4 - აკადემიური და მოწვეული პეროსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ);

გ) შეფასება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ (დანართი №5 - აკადემიური და მოწვეული პეროსონალის შეფასება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ);

დ) შეფასება საგამოცდო ცენტრის მიერ (დანართი №6 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება საგამოცდო ცენტრის მიერ);

ე) შეფასება სტუდენტის მიერ (დანართი №7 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის და სასწავლო კურსის შეფასება სტუდენტის მიერ).

11. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული და წლიური შეფასების სქემა განსაზღვრულია წინამდებარე დოკუმენტის დანართით №8 - მოწვეული პერსონალის სემესტრუსლი და წლიური შეფასების სქემა და დანართით №9 - აკადემიური პერსონალის სემესტრული და წლიური შეფასების სქემა.

12. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის საფუძველზე დაგროვებული ქულების რაოდენობა აკადემიური პერსონალის წლიურ შეფასებაში ანგარიშდება შემდეგნაირად: მინიმალური მოთხოვნის დაკმაყოფილების (ან დადგენილ მოთხოვნაზე მეტი ქულის დაგროვების) შემთხვევაში, პერსონალის საბოლოო წლიურ მაქსიმალურ შეფასებაში (5 ქულა) დადგენილი წილი (25%, ანუ 1.25 ქულა) ითვლება მაქსიმალურად, ხოლო დადგენილ მოთხოვნაზე ნაკლები ქულის დაგროვების შემთხვევაში, შეფასებას აკლდება დანაკლისი ქულის პროპორციულად (მაგ. აფილირებულ პროფესორს, რომელმაც დააგროვა სავალდებულო 50 ქულა და მეტი, წლიურ 5 ქულიან შეფასებაში ჩაეთვლება მაქსიმალური 1.25 ქულა (მაქსიმალური საბოლოო წლიური შეფასების 25%), 40 ქულის დაგროვების შემთხვევაში - 1 ქულა, 30 ქულის დაგროვების შემთხვევაში - 0.75 ქულა და ა.შ.).

13. პროფესიული განვითარების ანგარიშის საფუძველზე დაგროვებული ქულების რაოდენობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის წლიურ შეფასებაში ანგარიშდება შემდეგნაირად: მინიმალური მოთხოვნის დაკმაყოფილების (ან დადგენილ მოთხოვნაზე მეტი ქულის დაგროვების) შემთხვევაში, პერსონალის საბოლოო წლიურ მაქსიმალურ შეფასებაში (5 ქულა) დადგენილი წილი (15%, ანუ 0.75 ქულა) ითვლება მაქსიმალურად, ხოლო დადგენილ მოთხოვნაზე ნაკლები ქულის დაგროვების შემთხვევაში, შეფასებას აკლდება დანაკლისი ქულის პროპორციულად (მაგ. პერსონალს, რომელმაც დააგროვა სავალდებულო 30 ქულა და მეტი, წლიურ 5 ქულიან შეფასებაში ჩაეთვლება მაქსიმალური 0.75 ქულა (მაქსიმალური საბოლოო წლიური შეფასების 15%), 20 ქულის დაგროვების შემთხვევაში - 0.5 ქულა, 10 ქულის დაგროვების შემთხვევაში - 0.25 ქულა და ა.შ.).

14. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური შეფასების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური შეფასების და აკადემიური საქმიანობის სემესტრული შეფასებების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ დაგროვებული ქულების რანჟირება ფაკულტეტების მიხედვით.

15. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების პროცესის ადმინისტრირებას და შეფასების შედეგების დამუშავებას, შეჯამებული შედეგების ფაკულტეტებისთვის და ინდივიდუალურად პერსონალისთვის გაცნობას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 3. შეფასების შედეგებზე რეაგირება

1. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ეძლევა შესაბამისი ანაზღაურება: აფილირებულ პროფესორს - 3000 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასოცირებულ პროფესორს - 2500 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასისტენტ-პროფესორს - 2000 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასისტენტს - 1500 ლარის ოდენობით[1].

2. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი და აკადემიური საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე, თითოეულ ფაკულტეტზე სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიურ პერსონალს, წახალისების მიზნით, გადაეცემა ფულადი ჯილდო (I ადგილი - 1500 ლარი, II ადგილი - 1000 ლარი, III ადგილი - 500 ლარი).

3. მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე თითოეულ ფაკულტეტზე სამი საუკეთესო შედეგის მქონე მოწვეულ პერსონალს, წახალისების მიზნით, გადაეცემა ფულადი ჯილდო (I ადგილი - 1000 ლარი, II - ადგილი - 700 ლარი, III ადგილი - 400 ლარი).

4. ფინანსური ჯილდო არ გაიცემა იმ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე, რომელიც შესაბამისი აკადემიური წლის რომელიმე სემესტრში არ შეფასდა სტუდენტის მიერ. ფინანსური ჯილდო ასევე არ გაიცემა იმ შემთხვევაში თუ პერსონალის საბოლოო წლიური შეფასება 4 ქულაზე ნაკლებია. ფინანსური ჯილდოს გაცემის დროს მხედველობაში არ მიიღება იმ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები, რომელიც ევროპის უნივერსიტეტში

[1] *აფილირებული აკადემიური პერსონალის ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ ევროპის უნივერსიტეტის სახელით განხორციელებული სამეცნიერო აქტივობით დაგროვებული ქულების მიხედვით. თუ ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი არის ევროპის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი და მისი პუბლიკაცია/სამეცნიერო ნაშრომი ანაზღაურდება მეცნიერ-თანამშრომლის ხელშეკრულების ფარგლებში, აფილირებულ აკადემიურ პერსონალს აღარ უნაზღაურდება აფილირების თანხა იგივე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის. ხოლო, თუ აფილირების თანხა აჭარბებს მეცნიერ-თანამშრომლის ანაზღაურებას, უნაზღაურდება აღნიშნულ თანხებს შორის სხვაობა. ამასთანავე, აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით წინასწარ გაცემული თანხა აკლდება აფილირების ანაზღაურებას.*

ამავდროულად იკავებს ადმინისტრაციულ პოზიციას.

5. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ ზედიზედ ორი წლის განმავლობაში სამეცნიერო აქტივობის შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს მისთვის შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. ერთი წლის გასვლის შემდეგ სამეცნიერო აქტივობების შეუსრულებლობის შემთხვევაში აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ეძლევა გაფრთხილება.

6. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული და წლიური შეფასების შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ეგზავნება ფაკულტეტის დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელს, ვიცე რექტორს ხარისხის განვითარების მიმართულებით, ვიცე რექტორს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.

7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან გამოვლენილი საყურადღებო შედეგების გამომწვევი მიზეზების კვლევის, მათი გამოსწორებისთვის საჭირო ნაბიჯების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. აღნიშნული საკითხის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, ფაკულტეტის დეკანს ევალება კვლევის შედეგებზე რეაგირების ანგარიშის ფორმის შევსება, სადაც ფიქსირდება გამოვლენილ საყურადღებო შედეგებზე რეაგირების მიზნით უკვე განხორციელებული აქტივობები, ასევე, სამომავლო რეაგირების გეგმა. რეაგირების მიზნით დაგეგმილი აქტივობების შესრულებაზე მონიტორინგს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ახორციელებს ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით.

მუხლი 4. გარდამავალი დებულება

ამ წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის 2021-2022 აკადემიური წლის შეფასების შედეგების გამოთვლისას.

დანართი №1 - აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიში [2]

გვარი, სახელი	
დაკავებული აკადემიური თანამდებობა	
აფილირება	□ დიახ □არა
საერთო ქულა *(ივსება უნივერსიტეტის მიერ)*	
აკადემიური წელი	
შევსების თარიღი	

№	**აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა**	**აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის აღწერა** *(გთხოვთ, მიუთითოთ ორიგინალის ენაზე)*	**საქმიანობის განხორციელების თარიღი**	**საქმიანობისთვის განკუთვნილი ქულა**	**პერსონალის მიერ დაგროვებული ქულა** *(ივსება უნივერსიტეტის მიერ)* [3]
1	სტატიების გამოქვეყნება შემდეგი კატეგორიის ჟურნალებში: ტომსონ როიტერსის ბაზაში (Web of Science) ინდექსირებული ჟურანლები იმპაქტ-ფაქტორის (IF – Impact Factor) და სამეცნიერო ციტირების ინდექსის (SCI – Science Citation Index) მაჩვენებლებით; ELSEVIER-ის პუბლიკაციების ბაზასა და Scopus-ის პლატფორმაზე ინდექსირებული ჟურნალები სიმაგოს ჟურნალების რეიტინგის (SJR – SCImago Journal Rank) ინდექსის მაჩვენებლით.			50 ქულა	

[2] *აფილირებული აკადემიური პერსონალის ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ ევროპის უნივერსიტეტის სახელით განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი აქტივობით დაგროვებული ქულების მიხედვით.*

[3] *მტკიცებულების გარეშე წარმოდგენილი აქტივობები არ შეფასდება.*

	სხვა მსგავს რეიტინგულ ბაზებში ინდექსირებული ჟურნალები. [4] *(გთხოვთ, მიუთითოთ ჟურნალის დასახელება, ISSN, სტატიის სახელწოდება, სხვა დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ გამოქვეყნებულ სტატიას)*				
2	სტატიების გამოქვეყნება Google Scholar-ის ბაზაში ინდექსირებულ რეფერირებად ჟურნალებში *(გთხოვთ, მიუთითოთ ჟურნალის დასახელება, ISSN, სტატიის სახელწოდება, სხვა დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ გამოქვეყნებულ სტატიას)*			15 ქულა	
3	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენებით გამოსვლა) [5] *(გთხოვთ, მიუთითოთ კონფერენციისა და მოხსენების დასახელება, კონფერენციის ადგილი და თარიღი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ მოხსენებას)*			15 ქულა	
4	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენების გარეშე) [6] [7] *(გთხოვთ, მიუთითოთ კონფერენციისა და ნაშრომის დასახელება, კონფერენციის ადგილი და თარიღი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ ნაშრომს)*			8 ქულა	

[4] რეინტინგული ბაზები, რომლებსაც გააჩნიათ ჟურნალის რეიტინგის შეფასების ფუნქცია/ჟურნალების სარეიტინგო სია.

[5] სტატიის დუბლირების შემთხვევაში (რაც გულისხმობს ერთი და იგივე ნაშრომით კონფერენციაზე გამოსვლას და იგივე სტატიის ჟურნალში გამოქვეყნებას), ქულა ენიჭება მხოლოდ ერთ აქტივობას.

[6] კონფერენციაში დაუსწრებელი მონაწილეობა (კონფერნეციის კრებულში აბსტრაქტის/ნაშრომის მითითებით).

[7] სტატიის დუბლირების შემთხვევაში (რაც გულისხმობს ერთი და იგივე ნაშრომის კონფერენციის კრებულში დაბეჭდვასდა იგივე სტატიის ჟურნალში გამოქვეყნებას), ქულა ენიჭება მხოლოდ ერთ აქტივობას.

5	ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენებით გამოსვლა) [8] *(გთხოვთ, მიუთითოთ კონფერენციისა და მოხსენების დასახელება, კონფერენციის ადგილი და თარიღი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ მოხსენებას)*			10 ქულა	
6	ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენების გარეშე) [9] [10] *(გთხოვთ, მიუთითოთ კონფერენციისა და ნაშრომის დასახელება, კონფერენციის ადგილი და თარიღი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ ნაშრომს)*			5 ქულა	
7	დაფინანსებული საგრანტო კვლევითი პროექტის ხელმძღვანელობა *(გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის დეტალები: ფონდის სახელწოდება, პროექტის სახელწოდება, განხორციელების ვადები, ოფიციალური ვებ-გვერდი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ პროექტს)*			35 ქულა	
8	დაფინანსებულ საგრანტო კვლევით პროექტში მონაწილეობა (ძირითადი პერსონალი) *(გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის დეტალები: ფონდის სახელწოდება, პროექტის სახელწოდება, განხორციელების ვადები, ოფიციალური ვებ-გვერდი..*			20 ქულა	

[8] სტატიის დუბლირების შემთხვევაში (რაც გულისხმობს ერთი და იგივე ნაშრომით კონფერენციაზე გამოსვლას და იგივე სტატიის ჟურნალში გამოქვეყნებას), ქულა ენიჭება მხოლოდ ერთ აქტივობას.

[9] კონფერენციაში დაუსწრებელი მონაწილეობა (კონფერნეციის კრებულში აბსტრაქტის/ნაშრომის მითითებით).

[10] სტატიის დუბლირების შემთხვევაში (რაც გულისხმობს ერთი და იგივე ნაშრომის კონფერენციის კრებულში დაბეჭდვას და იგივე სტატიის ჟურნალში გამოქვეყნებას), ქულა ენიჭება მხოლოდ ერთ აქტივობას.

	მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ პროექტს)				
9	გამოგონება პატენტი *(გთხოვთ, მიუთითოთ დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ პატენტს)*			50 ქულა	
10	მონოგრაფიის / სახელმძღვანელოს საზღვარგარეთ გამოშვება *(გთხოვთ, მიუთითოთ სახელმძღვანელოს /მონოგრაფიის სათაური, ISBN, გამოცემის წელი, ელ. გმული და სხვა დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ გამოცემულ მონოგრაფიას / სახელმძღვანელოს)*			50 ქულა	
11	მონოგრაფიის / სახელმძღვანელოს გამოშვება *(გთხოვთ, მიუთითოთ სახელმძღვანელოს /მონოგრაფიის სათაური, ISBN, გამოცემის წელი, ელ. გმული და სხვა დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ გამოცემულ მონოგრაფიას / სახელმძღვანელოს)*			40 ქულა	
12	წინამდებარე ცხრილის პირველ პუნქტში მითითებული სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობა *(გთხოვთ, მიუთითოთ ჟურნალის დასახელება, ISSN, სხვა დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ჟურნალის რედაქტორობას)*			20ქულა	
13	წინამდებარე ცხრილის პირველ პუნქტში მითითებული სამეცნიერო ჟურნალის რეცენზენტობა *(გთხოვთ, მიუთითოთ ჟურნალის დასახელება, ISSN, სტატიის სახელწოდება,*			15 ქულა	

	სხვა დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ნაშრომის რეცენზიას)				
14	Google Scholar-ის ბაზაში ინდექსირებული რეფერირებადი ჟურნალის რედაქტორობა *(გთხოვთ, მიუთითოთ ჟურნალის დასახელება, ISSN, სხვა დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ჟურნალის რედაქტორობას)*			10 ქულა	
15	Google Scholar-ის ბაზაში ინდექსირებული რეფერირებადი ჟურნალის რეცენზენტობა *(გთხოვთ, მიუთითოთ ჟურნალის დასახელება, ISSN, სტატიის სახელწოდება, სხვა დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ნაშრომის რეცენზიას)*			5 ქულა	
16	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრობა *(გთხოვთ, მიუთითოთ კონფერენციის სახელწოდენა, ჩატარების ადგილი, ჩატარების თარიღი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეული აბსტრაქტის რეცენზიას/შეფასებას)*			4 ქულა	
17	ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრობა *(გთხოვთ, მიუთითოთ კონფერენციის სახელწოდენა, ჩატარების ადგილი, ჩატარების თარიღი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეული აბსტრაქტის რეცენზიას/შეფასებას)*			3 ქულა	
18	სახელმძღვანელოს / მონოგრაფიის რეცენზირება			15 ქულა	

	(გთხოვთ, მიუთითოთ სახელმძღვანელოს/ მონოგრაფიის დასახელება, ISBN, სხვა დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ სახელმძღვანელოს / მონოგრაფიის რეცენზიას)				
19	ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება *(გთხოვთ, მიუთითოთ ნაშრომის სათაური, სტუდენტის სახელი და გვარი, მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ნაშრომის რეცენზიას)*			4 ქულა	
20	საზღვარგარეთ ჩატარებული სტუდენტური კონფერენციების ნაშრომების ხელმძღვანელობა [11] *(გთხოვთ, მიუთითოთ კონფერენციისა და ნაშრომის დასახელება, კონფერენციის ადგილი და თარიღი, სტუდენტის სახელი და გვარი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ნაშრომის ხელმძღვანელობას)*			10 ქულა	
21	ადგილობრივი სტუდენტური კონფერენციების ნაშრომების ხელმძღვანელობა [12] *(გთხოვთ, მიუთითოთ კონფერენციისა და ნაშრომის დასახელება, კონფერენციის ადგილი და თარიღი, სტუდენტის სახელი და გვარი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ნაშრომის ხელმძღვანელობას)*			5 ქულა	

[11] *ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების ნაშრომების ხელმძღვანელობა.*

[12] *ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების ნაშრომების ხელმძღვანელობა.*

დანართი №2 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური ანგარიში

გვარი, სახელი	
სტატუსი	☐ აკადემიური პერსონალი ☐ მოწვეული პერსონალი
საერთო ქულა *(ივსება უნივერსიტეტის მიერ)*	
აკადემიური წელი	
შევსების თარიღი	

№	**პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობები**	**პერსონალის მიერ პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების აღწერა**	**აქტივობის განხორციელების თარიღი**	**აქტივობისთვის განკუთვნილი ქულა**	**პერსონალის მიერ დაგროვებული ქულა** *(ივსება უნივერსიტეტის მიერ)* [13]
1	ადგილობრივ ვორქშოფებზე, სემინარებზე, ტრენინგებზე დასწრება *(გთხოვთ მიუთითოთ სემინარების, ვორქშოფების, ტრენინგების დასახელება, ადგილი, თარიღი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ განხორციელებულ აქტივობას)*			5 ქულა	
2	ადგილობრივი ვორქშოფების, სემინარების, ტრენინგების ჩატარება *(გთხოვთ მიუთითოთ სემინარების, ვორქშოფების, ტრენინგების დასახელება, ადგილი, თარიღი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ განხორციელებულ აქტივობას)*			15 ქულა	
3	საერთაშორისო ვორქშოფებზე, სემინარებზე, ტრენინგებზე დასწრება *(გთხოვთ მიუთითოთ სემინარების, ვორქშოფების, ტრენინგების დასახელება,*			10 ქულა	

[13] *მტკიცებულების გარეშე წარმოდგენილი აქტივობები არ შეფასდება.*

	ადგილი, თარიღი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ განხორციელებულ აქტივობას)				
4	საერთაშორისო ვორქშოფების, სემინარების, ტრენინგების ჩატარება *(გთხოვთ მიუთითოთ სემინარების, ვორქშოფების, ტრენინგების დასახელება, ადგილი, თარიღი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ განხორციელებულ აქტივობას)*			20 ქულა	
5	საჯარო ლექციების, პანელური დისკუსიების ჩატარება *(გთხოვთ მიუთითოთ საჯარო ლექციების, პანელური დისკურსიების დასახელება, ადგილი, თარიღი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ განხორციელებულ აქტივობას)*			10 ქულა	
6	უნივერსიტეტის ვებ-გვერდისათვის სფეროსთან დაკავშირებული აქტუალური მასალების მომზადება *(გთხოვთ მიუთითოთ ვებ-გვერდისთვის მომზადებული მასალების თემატიკა, დასახელება, ლინკი სადაც განთავსდა მასალა. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ განხორციელებულ აქტივობას)*			5 ქულა	
7	სახელმძღვანელოს თარგმანი *(გთხოვთ მიუთითოთ სახელმძღვანელოს, სამეცნიერო ლიტერატურის სათაური, სხვა დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეული სახელმძღვანელოს თარგმანს)*			25 ქულა	
8	სტუდენტების მომზადება იმიტირებული / სიმულაციური / სხვა ტიპის პროექტებისთვის *(გთხოვთ მიუთითოთ პროექტის დასახელება, სტუდენტ(ებ)ის სახელი და*			10 ქულა	

	გვარი, სხვა დეტალები, მითითებული ქულა ენიჭება თითოეული სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის მომზადებას)				
9	იმიტირებული / სიმულაციური / სხვა ტიპის პროექტების ორგანიზება, ხელმძღვანელობა *(გთხოვთ მიუთითოთ პროექტის დასახელება, სხვა დეტალები, მითითებული ქულა ენიჭება თითოეული სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის მომზადებას)*			20 ქულა	
10	სტუდენტების მომზადება ადგილობრივი ოლიმპიადებისთვის *(გთხოვთ მიუთითოთ ოლიმპიადის დასახელება, სტუდენტ(ებ)ის სახელი და გვარი, სხვა დეტალები, მითითებული ქულა ენიჭება თითოეული სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის მომზადებას)*			10 ქულა	
11	სტუდენტების მომზადება საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის *(გთხოვთ მიუთითოთ ოლიმპიადის დასახელება, სტუდენტ(ებ)ის სახელი და გვარი, სხვა დეტალები, მითითებული ქულა ენიჭება თითოეული სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის მომზადებას)*			15 ქულა	
12	საერთაშორისო ოლიმპიადის ხელმძღვანელობა (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეობა, ღონისძიების დირექტორობა) *(გთხოვთ მიუთითოთ ოლიმპიადის დასახელება, სხვა დეტალები, მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ოლიმპიადის ხელმძღვანელობას)*			25 ქულა	
13	საერთაშორისო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა			20 ქულა	

	(გთხოვთ მიუთითოთ ოლიმპიადის დასახელება, სხვა დეტალები, მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ოლიმპიადის კომიტეტის წევრობას)				
14	ადგილობრივი ოლიმპიადის ხელმძღვანელობა (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეობა, ღონისძიების დირექტორობა) *(გთხოვთ მიუთითოთ ოლიმპიადის დასახელება, სხვა დეტალები, მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ოლიმპიადის ხელმძღვანელობას)*			20 ქულა	
15	ადგილობრივი ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა *(გთხოვთ მიუთითოთ ოლიმპიადის დასახელება, სხვა დეტალები, მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ოლიმპიადის კომიტეტის წევრობას)*			15 ქულა	
16	პროფესიული მომზადების/ გადამზადების კურსები [14] *(გთხოვთ მიუთითოთ კურსების დასახელება, ხანგრძლივობა, სხვა დეტალები, მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ გავლილ კურსს)*			20 ქულა	
17	სტატია არასამეცნიერო-კვლევით ჟურნალებსა და ინტერნეტ-გამოცემებში *(გთხოვთ მიუთითოთ სტატიის, ჟურნალისა და ინტერნეტ-გამოცემის დასახელება, გამოქვეყნების თარიღი, სხვა დეტალები, მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ სტატიას)*			15 ქულა	
18	**არასამეცნიერო** ინტერნეტ ჟურნალების / პორტალის რედაქტორობა			20 ქულა	

[14] *კვალიფიკაციის ასამაღლებელი სპეციალიზირებული კურსები, რომელშიც არ მოიაზრება ერთჯერადი ტრენინგები.*

	(გთხოვთ მიუთითოთ ჟურნალის / პორტალის დასახელება, სხვა დეტალები, მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ჟურნალის / პორტალის რედაქტორობას)				
19	საერთაშორისო აკადემიური მობილობა *(გთხოვთ მიუთითოთ მობილობის ადგილი, მიზანი, ხანგრძლივობა, თარიღი, სხვა დეტალები, მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ განხორციელებულ მობილობას)*			20 ქულა	
20	პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული სხვა აქტივობები *(გთხოვთ დაასახელეთ აქტივობის დეტალები)*			*ქულა განისაზღვრება კომისიური წესით* [15]	

[15] *ქულას განსაზღვრავს პერსონალის მიერ შესრულებული პროფესიული განვითარების აქტივობების დადასტურების მიზნით შექმნილი კომისია.*

დანართი №3 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება დეკანის მიერ

ლექტორის სახელი და გვარი: _____ _____

ლექტორის სტატუსი:

□ მოწვეული პერსონალი □ აკადემიური პერსონალი

შეფასების ინდიკატორი	**შეფასების ქულები (1 ქულა - ძალიან უკმაყოფილო, 5 ქულა - ძალიან კმაყოფილი)**				
ფაკულტეტთან თანამშრომლობის შეფასება (შეხვედრებზე დასწრება, წერილებზე რეაგირება, საბჭოს სხდომებზე დასწრება და სხვა)	□ 1	□ 2	□ 3	□ 4	□ 5

ლექტორის საბოლოო შეფასება: _____

დანართი №4 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ

ლექტორის სახელი და გვარი: _____ _____

ლექტორის სტატუსი:

□ მოწვეული პერსონალი □ აკადემიური პერსონალი

შეფასების ინდიკატორი	**შეფასების ქულები (1 ქულა - ძალიან უკმაყოფილო, 5 ქულა - ძალიან კმაყოფილი)**				
სასწავლო კურს(ებ)ის სილაბუსის განახლებასთან დაკავშირებით თანამშრომლობა	□ 1	□ 2	□ 3	□ 4	□ 5
შუალედური და დასკვნითი გამოცდების სილაბუსის შესაბამისად შედგენა	□ 1	□ 2	□ 3	□ 4	□ 5
ლექტორის მიერ Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმის ეფექტიანად გამოყენება (ატვირთულია სასწავლო კურსის სილაბუსი, სასწავლო კურსის შესაბამისი, სათანადო სასწავლო მასალა)	□ 1	□ 2	□ 3	□ 4	□ 5
პროგრამის ხელმძღვანელთან სხვა ტიპის თანამშრომლობის შეფასება (შეხვედრებზე დასწრება, წერილებზე რეაგირება და სხვა)	□ 1	□ 2	□ 3	□ 4	□ 5

ლექტორის საბოლოო შეფასება _____

შენიშვნა: *ლექტორის საბოლოო შეფასება გამოითვლება შეფასების ინდიკატორებში მითითებული ქულების საშუალო არითმეტიკული ქულის გამოთვლით.*

დანართი №5 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ

ლექტორის სახელი და გვარი: _____ _____

ლექტორის სტატუსი:

□ მოწვეული პერსონალი □ აკადემიური პერსონალი

შეფასების ინდიკატორი	**შეფასების ქულები (1 ქულა - ძალიან უკმაყოფილო, 5 ქულა - ძალიან კმაყოფილი)**				
ლექციების დროულად დაწყება / დასრულება	□ 1	□ 2	□ 3	□ 4	□ 5
ლექციების გაცდენის შემთხვევაში ადმინისტრაციის დროულად ინფორმირება	□ 1	□ 2	□ 3	□ 4	□ 5
შუალედური შეფასებების კომპონენტების ელექტრონულ ბაზაში დროულად ასახვა	□ 1	□ 2	□ 3	□ 4	□ 5

ლექტორის საბოლოო შეფასება _____

შენიშვნა: *ლექტორის საბოლოო შეფასება გამოითვლება შეფასების ინდიკატორებში მითითებული ქულების საშუალო არითმეტიკული ქულის გამოთვლით.*

დანართი №6 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება საგამოცდო ცენტრის მიერ

ლექტორის სახელი და გვარი: _____ _____

ლექტორის სტატუსი:

□ მოწვეული პერსონალი □ აკადემიური პერსონალი

შეფასების ინდიკატორი	**შეფასების ქულები (1 ქულა - ძალიან უკმაყოფილო, 5 ქულა - ძალიან კმაყოფილი)**				
საგამოცდო მასალების ცენტრისთვის დროულად მიწოდება	□ 1	□ 2	□ 3	□ 4	□ 5
საგამოცდო მასალების დროულად გასწორება და შედეგების ცენტრისთვის დროულად მიწოდება	□ 1	□ 2	□ 3	□ 4	□ 5
საგამოცდო მასალების სრულყოფილად მიწოდება (საგამოცდო ფორმასთან შესაბამისობა, საგამოცდო ვერსიების სათანადო რაოდენობა და სხვა)	□ 1	□ 2	□ 3	□ 4	□ 5

ლექტორის საბოლოო შეფასება _____

შენიშვნა: *ლექტორის საბოლოო შეფასება გამოითვლება შეფასების ინდიკატორებში მითითებული ქულების საშუალო არითმეტიკული ქულის გამოთვლით.*

დანართი №7 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის და სასწავლო კურსის შეფასება სტუდენტის მიერ

1. გთხოვთ, შეაფასოთ რამდენად ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ ფრაზებს სასწავლო კურსის შესახებ (1 - სრულიად არ ვეთანხმები; 5 - სრულიად ვეთანხმები).

	1	2	3	4	5
ლექცია/სამუშაო ჯგუფში მუშაობისთვის გამოყოფილი დრო საკმარისია					
სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდები სათანადოა და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას					
სასწავლო კურსი უზრუნველყოფს სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიიღწევას					
სასწავლო კურსის ფარგლებში ლექტორის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა ობიექტურია					
სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები სათანადოა და შეესაბამება სასწავლო კურსის სპეციფიკას					
ლექტორის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა და შეფასების მეთოდები იძლევა სასწავლო კურსის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების გამოხატვის საშუალებას					
შუალედური გამოცდისთვის გამოყოფილი დრო საკმარისია					
დასკვნითი გამოცდისთვის გამოყოფილი დრო საკმარისია					
საგამოცდო საკითხები შეესაბამება სასწავლო კურსის თემატიკას					

3. ყველაფრის გათვალისწინებით, რამდენად გაამართლა თქვენი მოლოდინი სასწავლო კურსმა? შეაფასეთ სასწავლო კურსი ზოგადად (1 - ძალიან ცუდი; 5 - ძალიან კარგი).

□ 1	□ 2	□ 3	□ 4	□ 5

4. გთხოვთ, სურვილის შემთხვევაში, გამოხატოთ თქვენი მოსაზრება ზოგადად სასწავლო კურსთან დაკავშირებით. რა გაზრდიდა თქვენს კმაყოფილებას კურსით? რას შეცვლიდით?

5. გთხოვთ, შეაფასოთ, რამდენად ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილ ფრაზებს (1 - სრულიად არ ვეთანხმები; 5 - სრულიად ვეთანხმები).

	1	2	3	4	5
ლექტორი არ აცდენს ლექციას					
იმ შემთხვევაში თუ ლექტორი აცდენს ლექციას, ყოველთვის წინასწარ ვართ ინფორმირებული ამის შესახებ					
ლექტორი ყოველთვის ახდენს გაცდენილი ლექციის / სემინარის / პრაქტიკული მეცადინეობის აღდგენას					
ლექტორი არ აგვიანებს ლექციაზე					
ლექტორს აქვს საგნის ღრმა ცოდნა					
სასწავლო კურსის დასაწყისში, ლექტორმა გასაგებად გაგვაცნო სასწავლო კურსის სილაბუსი, სასწავლო კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა					

ლექტორი სწორად გეგმავს დროს ლექციის / სემინარის / პრაქტიკული მეცადინეობის განმავლობაში					
ლექციების / პრაქტიკული მეცადინეობების / სემინარების თემატიკა მიჰყვება სილაბუსში განსაზღვრულ თემატიკას					
ლექტორი იყენებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს (პრეზენტაციები, დისკუსიები, შემთხვევის ანალიზი და სხვა)					
ლექტორი გასაგებად ხსნის ახალ მასალას / თემას					
ლექტორი ახერხებს სტუდენტების საგნით დაინტერესებას					
ლექტორი ახერხებს სტუდენტების აქტიურობის / ჩართულობის უზრუნველყოფას ლექციის მსვლელობისას					
ლექტორი დროულად ასახავდა შეფასებებს / ქულებს ელექტრონულ ბაზაში					
ლექტორი ეფექტურად იყენებს Moodle ელექტრონულ სისტემას (ატვირთულია სასწავლო კურსის სილაბუსი, სასწავლო კურსის შესაბამისი, სათანადო სასწავლო მასალა)					
მოცემული დავალებები მეხმარება სწავლის პროცესში					
ლექტორი ცდილობს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების განვითარებას					
ლექტორი სტუდენტს აძლევს შესაბამის უკუკავშირს მიღწეული შედეგების შესახებ					
შესრულებულ დავალებებზე ლექტორის მოსაზრებები / განმარტებები სასარგებლოა					
ლექტორი სტუდენტებს აძლევს კითხვების დასმის შესაძლებლობას					
ლექტორი სტუდენტების მიერ დასმულ კითხვებზე პასუხობს გასაგებად					
მაქვს შესაძლებლობა მივიღო დამატებითი კონსულტაციები ლექტორისგან					
ლექტორი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს გამოავლინონ თავიანთი ცოდნა, უნარები და შესაძლებლობები					
ლექტორი პატივისცემით ეპყრობა სტუდენტებს					

6. გთხოვთ, დაასახელოთ ლექტორის ძლიერი მხარე.

7. გთხოვთ, დაასახელოთ ლექტორის სუსტი მხარე.

8. ყველაფრის გათვალისწინებით, რამდენად კმაყოფილი ხართ ლექტორით? შეაფასეთ ლექტორი ზოგადად (1 - ძალიან ცუდი; 5 - ძალიან კარგი).

□ 1	□ 2	□ 3	□ 4	□ 5

9. გთხოვთ, სურვილის შემთხვევაში, გამოხატოთ თქვენი მოსაზრება ლექტორთან დაკავშირებით. რას ურჩევდით ლექტორს სწავლების გაუმჯობესების კუთხით?

შენიშვნა: *სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასების საბოლოო ქულა გამოითვლება შეფასების კრიტერიუმებში მითითებული ქულების საშუალო არითმეტიკული ქულის დათვლით.*

დანართი №8 - მოწვეული პერსონალის სემესტრული და წლიური შეფასების სქემა

შეფასების კომპონენტები	*სემესტრული შეფასება*	*წლიური შეფასება*
შეფასების კომპონენტი I *- შეფასება დეკანის მიერ*	*10 % (0.5 ქულა)*	*აკადემიური საქმიანობის წლიური შეფასების 75 % (3.75 ქულა)*
შეფასების კომპონენტი II *- შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ*	*20 % (1 ქულა)*	
შეფასების კომპონენტი III *- შეფასება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ*	*10 % (0.5 ქულა)*	
შეფასების კომპონენტი IV *- შეფასება საგამოცდო ცენტრის მიერ*	*10 % (0.5 ქულა)*	
შეფასების კომპონენტი V *- შეფასება სტუდენტების მიერ*	*50 % (2.5 ქულა)*	
შეფასების კომპონენტი VI *- პროფესიული განვითარების შეფასება*	*-*	*25 % (1.25 ქულა)*
სულ	***5 ქულა***	***5 ქულა***

შენიშვნა:

1. ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში (როცა შემფასებელი ამავე დროს ლექტორია), შემფასებელი არ იღებს შეფასების პროცესში მონაწილეობას და მისთვის განკუთვნილი ქულა თანაბრად ნაწილდება სხვა შემფასებლებზე. როცა შემფასებელი ნებისმიერი სხვა მიზეზით არ იღებს შეფასების პროცესში მონაწილეობას, მისთვის განკუთვნილი ქულა კვლავ თანაბრად ნაწილდება სხვა შემფასებლებზე;

2. მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის წლიური შეფასება გამოითვლება სემესტრული შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულის გამოთვლით.

დანართი №9 - აკადემიური პერსონალის სემესტრული და წლიური შეფასების სქემა

შეფასების კომპონენტები	*სემესტრული შეფასება*	*წლიური შეფასება*
შეფასების კომპონენტი I *- შეფასება დეკანის მიერ*	*10 % (0.5 ქულა)*	*აკადემიური საქმიანობის წლიური შეფასების 60 % (3 ქულა)*
შეფასების კომპონენტი II *- შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ*	*20 % (1 ქულა)*	
შეფასების კომპონენტი III *- შეფასება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ*	*10 % (0.5 ქულა)*	
შეფასების კომპონენტი IV *- შეფასება საგამოცდო ცენტრის მიერ*	*10 % (0.5 ქულა)*	
შეფასების კომპონენტი V *- შეფასება სტუდენტების მიერ*	*50 % (2.5 ქულა)*	
შეფასების კომპონენტი VI *- პროფესიული განვითარების შეფასება*	*-*	*15 % (0.75 ქულა)*
შეფასების კომპონენტი VII *- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება*	*-*	*25% (1.25 ქულა)*
სულ	***5 ქულა***	***5 ქულა***

შენიშვნა:

1. ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში (როცა შემფასებელი ამავე დროს ლექტორია), შემფასებელი არ იღებს შეფასების პროცესში მონაწილეობას და მისთვის განკუთვნილი ქულა თანაბრად ნაწილდება სხვა შემფასებლებზე. როცა შემფასებელი ნებისმიერი სხვა მიზეზით არ იღებს შეფასების პროცესში მონაწილეობას, მისთვის განკუთვნილი ქულა კვლავ თანაბრად ნაწილდება სხვა შემფასებლებზე

2. აკადემიური პერსონალის აკადემიური საქმიანობის წლიური შეფასება გამოითვლება სემესტრული შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულის გამოთვლით.